საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2677
17/06/2022

2677-21-2-202206171531

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №1830 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სოფ. ვერტყვიჭალაში, საერთაშორისო მნიშვნელობის E60 ავტომაგისტრალის ბორითი - ხევის მონაკვეთის (F2) მშენებლობის პროექტის ფარგლებში გამონამუშევარი ფუჭი ქანების №15 სანაყაროს ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში აღწერილი უნდა იყოს ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოები;
- სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, განმარტებით ბარათის თანახმად, ნაპირდამცავი ნაგებობის ქვანაყარი ბერმის ამგები ქვის დიამეტრი შეადგენს 2,08 მეტრს, ხოლო გრაფიკულ ნაწილში მითითებულია, რომ ქვის დიამეტრი არის 1 მეტრი;
- ქვანაყარი ბერმის მოცულობა არ შეესაბამება წარეცხვის და დატბორვის დონეების გათვალისწინებით, დამცავი ნაგებობის მოცულობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო მოცულობა დადგენილი უნდა იყოს წარეცხვისა და დატბორვის შესაბამისი მარაგების გათვალისწინებით, ასევე, ბერმის საანგარიშო მოცულობა დათვლილი უნდა იყოს ბერმის ფერდობის მართობულად ორი საანგარიშო ქვის განთავსების პირობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/ QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო